



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 64
22/01/2019

ქალაქი ბათუმი

64-05-4-201901221247



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის 2019 წლის სპორტული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №39 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის 2019 წლის 18 იანვრის №01-05/05 კორესპოდენციის საფუძველზე **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის 2019 წლის სპორტული ღონისძიებები, დანართი №1-ის შესაბამისად. სულ თანხა 67500 (სამოცდაშვიდიათასხუთასი) ლარი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლებისა და კულტურის სამსახურს.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ.ნაკაშიძე) უზრუნველყოს სპორტული ღონისძიებებით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება.

4. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლას განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში უზრუნველყოს ბრძანების შესრულება.

5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

